პროგრამის სახელწოდება

ბუღალტრული აღრიცხვა სასტუმრო ინდუსტრიისთვის (Accounting for the hotel industry)

პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 14 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ასაკი-18 წელი

აპლიკანთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები : შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელიც შეძლებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში; შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სასტუმროს ფინანსური მენეჯერების ჩართულობით. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა სასტუმრო ინდუსტრიისთვის'' სწავლა შეუძლია მინიმუმ 18 წლის პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში საბუღალტრო მიმართულებით.სწავლება ხორციელდება 14 კვირის მანძილზე, 20 საათი კვირეული დატვირთვით.პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა'' და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში; საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დისტანციურად ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით; კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბუღალტრული აღრიცხვის საგნის და მეთოდებისა ჩამოყალიბება;
- ბუღალტრულ ბალანსში სამეურნეო ოპერაციების ტიპური ცვლილებების ჩამოყალიბება;
- ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შინაარსისა და თავისებურებების ჩამოყალიბება;
- პირველადი დოკუმენტების დახარისხება და ორგანიზაციის ანგარიშთა გეგმის შედგენა;
- სამეურნეო ოპერაციების ასახვა ბუღალტრული გატარებებით;
- საბანკო ოპერაციების წარმოება ;
- პირველადი დოკუმენტებიდან მონაცემების გადატანა შესაბამის მაგროვებელ დოკუმენტებში;
- მაკორექტირებელი გატარებების განხორციელება და დროებითი ანგარიშების დახურვა;
- ბრუნვათა უწყისის შედგენა;
- მომსახურების (სასტუმრო) სფეროს საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება;

დასაქმების სფერო: ბიზნესი და ადმინისტრირება (ვიწრო სფერო)